ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

კომერციული ფართის იჯარით გადაცემის შესახებ

ქ. თბილისი 20 მარტი 2018 წ.

ერთი მხრივ, შპს „ლილო რენტალი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა ბეციაშვილის სახით - (შემდეგ - "მეიჯარე")

და

მეორე მხრივ, შპს "ბი ემ სი შარმი", წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი გვიდიანის სახით - (შემდეგ - "მოიჯარე")

მოცემული იჯარის ხელშეკრულებით (შემდეგ - "ხელშეკრულება") შეთანხმდნენ შემდეგზე:

1 საგანი

1.1. **"ხელშეკრულების"** საგანს წარმოადგენს **"მეიჯარის"** ვალდებულება, თავის საკუთრებაში არსებული კომერციული ფართი, დროებით სარგებლობაში გადასცეს **"მოიჯარეს"** და **"მოიჯარის"** ვალდებულება, ფართით სარგებლობის სანაცვლოდ **"მეიჯარეს"** გადაუხადოს **"ხელშეკრულებით"** გათვალისწინებული საიჯარო ქირა.

2. საიჯარო ქონება და მისით სარგებლობა

2.1. საიჯარო ქონებას წარმოადგენს "მეიჯარის" საკუთრებაში არსებული კომერციული ფართი **831 კვმ,** მდებარე ქ.თბილისში დიდი დიღომი-გლდანის შემაერთებელი მაგისტრალისა და ბელიაშვილის ქუჩის კვეთაზე (**ბელიაშვილის ქ. №142**), მრავალფუნქციურ კომპლექსში (საკადასტრო კოდი 01.13.01.004 149) (შემდეგ - "ფართი"). ფართი მდებარეობს შენობა 1-ში პირველ სართულზე,**ასევე მისცეს მოიჯარეს განსაკარგად ამავე კომერციული ფართის წინ არსებული 6 პარკინგის ადგილი. (დანართი 1),ამავე კომერციული ფართის წინ და სახურავზე არსებული სივრცე სარეკლამო ბანერების განსათავსებლად ვიზუალური მხარის შეთანხმების შემდეგ. (დანართი 2)**

2.2. "მეიჯარე" აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ მას "ფართზე" საკუთრების უფლება მოპოვებული აქვს კანონიერი გზით, რომ იგი შეუზღუდავად არის უფლებამოსილი გააფორმოს მოცემული "ხელშეკრულება", რომ ამ "ხელშეკრულების" გაფორმებით არ ირღვევა სხვა პირთა კანონიერი ინტერესები და რომ, მესამე პირებს "ფართთან" ან/და "მეიჯარესთან" მიმართებით არ გააჩნიათ რაიმე ისეთი უფლება, რომელიც შეზღუდავს "მოიჯარეს" "ფართით" სარგებლობისას, ჩააყენებს "მოიჯარეს" არახელსაყრელ პირობებში ან/და ინტერეს დააკარგვინებს მოცემული "ხელშეკრულებისადმი".

2.3. "მოიჯარის" მიერ "ფართით" სარგებლობაში იგულისმხება მისი გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

2.4. "ფართით" სარგებლობისას "მოიჯარე" უფლებამოსილია, საკუთარი სურვილისა და შეხედულებისამებრ ჩაატაროს "ფართში" სარემონტო სამუშაოები, მოაწყოს სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების დეკორაციები და კონსტრუქციები. ამასთან, "ფართზე" ამ მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი არსებითი ცვლილება საჭიროებს "მეიჯარის" წინასწარ წერილობით თანხმობას, **გარდა აქვე ჩამოთვლილი ცვლილებებისა:**

იატაკზე გაიხვრიტება ფილები რომ დამაგრდეს სტენდები და კაბელ-კანალები.

კედლები შეიღებება ან დასტიკერდება ინტერიერის დიზაინის შესაბამისად.

ტიხრების შეიცვლა შიდა სივრცეში.

2.5. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 45 დღის განმავლობაში **მოხდება საიჯარო ქონების გამომიჯვნა საერთო ფართისგან ორმაგი გიფსო ფილის კედლების მოწყობით.** ფართი აღიჭურვება გათბობა-გაგრილებისა და ვენტილაციის სისტემით, ელექტროგაყვანილობით, შეკიდული ჭერით, განათებითა **და იზოლირებულ ფართშივე სველი წერტილით (მოიჯარის მიერ მოწოდებული სქემის მიხედვით)** მეიჯარის მიერ. **(დანართი 3)**

2.6. "მოიჯარე" პასუხისმგებელია, როგორც ზემოაღნიშნული ქონების სათანადოდ მოვლა-პატრონობაზე ასევე "ფართის" ნებისმიერ ზიანზე, მათ შორის კედლების, იატაკის, ჭერისა და კარ-ფანჯრების დაზიანებაზე რაც არ იქნება შეთანხმებული (შეთანხმება აღარ სჭირდება 2.4 პუნქტით განსაზღვრულ დაზიანებებს და ცვლილებებს) მეიჯარესთან წინასწარ. ბუნებრივი ცვეთა არ ანაზღაურდება.

3. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი

3.1. "მოიჯარის" მიერ, "მეიჯარის" სასარგებლოდ გადასახდელი საიჯარო ქირის ოდენობა ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე (2.1 პუნქტში მითითებული ქონებით სარგებლობის სანაცვლოდ) თვეში შეადგენს :

ხელშეკრულების ხელმოწერიდან,პირველი ოთხი თვის განმავლობაში- 1,75 **(ერთი მთელი და სამოცდათხუთმეტი) აშშ დოლარი**
მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში - 7 **(შვიდი) აშშ დოლარი**
მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში - 9 **(ცხრა) აშშ დოლარი**
დარჩენილი პერიოდი ხელშეკრულების დასრულებამდე - 11 **(თერთმეტი) აშშ დოლარი**

-ის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

3.2. საიჯარო ფართის გადაცემაზე ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით. საიჯარო ქირა აითვლება ფართის გადაცემაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თარიღიდან.

3.3. საიჯარო ქირის გადახდა ხდება ყოველი თვის ბოლო რიცხვში, ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორების გზით გადახდის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი თვის ბოლო რიცხვი ემთხვევა არასაბანკო დღეს, მაშინ საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება გადაიწევს მომდევნო საბანკო დღემდე.

3.4. საიჯარო ქირაში **არ შედის** ელექტრო ენერგიის, **კომუნალური და სხვა ტექნიკური უზრუნველყოფის გადასახადები. კომუნალური და სხვა ტექნიკური მომსახურების გადასახადი თვეში შეადგენს 1 ლარს კვდრატულ მეტრ ფართზე და მოიცავს:**

დაცვის სამსახურით სარგებლობა
დასუფთავების მოსაკრებელი
გათბობა ვენტილაცია კონდიცირების სისტემების ტექნიკური მომსახურება
დიზელ გენერატორით მომსახურება
ფასადების დასუფთავება (წელიწადში ორჯერ)
გარე განათება, წყალი
ტერიტორიის კეთილმოწყობა, გამწვანება დასუფთავება
ამასთან ერთად მოიჯარე ელექტრო ენერგიის ღირებულებას გადაიხდის ელექტრო მრიცხველის მონაცემების მიხედვით, არსებული ტარიფით;

3.5. კომუნალური და სხვა ტექნიკური უზრუნველყოფის გადასახადების გადახდა ხდება ყოველი თვის ბოლო რიცხვში, ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორების გზით. იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი თვის ბოლო რიცხვი ემთხვევა არასაბანკო დღეს, მაშინ საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება გადაიწევს მომდევნო საბანკო დღემდე.

3.6. მხარეები თანხმდებიან "მოიჯარეს", საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია ფართზე ჩაატაროს სარემონტო სამუშაოები თუმცა იმ დათქმით, რომ ეს სრულად იქნება "მოიჯარის" ხარჯი, რის სანაცვლოდაც "მოიჯარე" ვერანაირ კომპენსაციას ვერ მოითხოვს "მეიჯარისაგან".

3.7. "მოიჯარე" ვალდებულია, საიჯარო ქირა, გადაუხადოს "მეიჯარეს" კეთილსინდისიერად, დროულად და სრული ოდენობით.

3.8. მიუხედავად ნებისმიერი გარემოებისა, დაუშვებელია, ერთ-ერთმა მხარემ ცალმხრივად მოითხოვოს საიჯარო ქირის ოდენობის გაზრდა ან შემცირება. საიჯარო ქირის ოდენობის ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს ორივე მხარის წინასწარ წერილობით შეთანხმების შემდეგ.

4. მხარეთა ვალდებულებები და უფლება-მოვალეობანი

მეიჯარე უფლებამოსილია:

4.1. მოითხოვოს "მოიჯარისაგან" "ხელშეკრულებით" გათვალისწინებულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერად შესრულება.

4.2. მოითხოვოს "მოიჯარისაგან" საიჯარო ქირის დროულად და სრული ოდენობით გადახდა.

4.3. მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიადგა მას "მოიჯარის" მიერ "ხელშეკრულებით" ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევის შედეგად.

მეიჯარე ვალდებულია:

4.4. "მოიჯარეს" გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო (გარემონტებული) "ფართი" ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 45 დღის ვადაში.

4.5. "ხელშეკრულების" მოქმედების განმავლობაში არ გააუარესოს "ფართის" მდგომარეობა ან/და უფლებრივად ისეთნაირად არ დატვირთოს, რომ "მოიჯარე" აღმოჩნდეს უარეს მდგომარეობაში, ვიდრე ის ამ "ხელშეკრულების" მიხედვით არის.

4.6. კეთილსინდისიერი ურთიერთთანამშრომლობით "მოიჯარეს" მაქსიმალურად შეუწყოს ხელი "ფართით" სარგებლობაში, შეუქმნას შესაბამისი პირობები და აღმოფხვრას "ფართით" სარგებლობის ყველა ის ხელისშემშლელი გარემოება, რომელთა აღმოფხვრაც, კანონის მიხედვით, წარმოადგენს "მეიჯარის" ვალდებულებას.

4.7. შეასრულოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

4.8. არ ჩაერიოს მოიჯარის მიერ „საიჯარო ქონების“ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნით გამოყენებაში;

4.9. „საიჯარო ქონების“ მიმართ გასატარებელი ზემოქმედებანი, რომელიც აუცილებელია "ფართის" შესანახად წინასწარ შეუთანხმოს მოიჯარეს, თუ ეს ზღუდავს მოიჯარის მიერ ფართის ამავე ხელშეკრულების მიზნით სრულყოფილად გამოყენებას და არ დაუშვას ისეთი მოქმედებები, რომლებიც აუცილებლობით არ არის გამოწვეული.

4.10. 2018 წლის 25 ივლისამდე არ გააქირავოს დანართი 4-ით მონიშნული საიჯარო ქონების მომიჯნავე ფართი და ამავე ხელშეკრულების პირობებით გადასცეს მოიჯარეს ამ ვადის განმავლობაში თუ მოიჯარემ გადაწყვიტა აღნიშნულ ვადაში საიჯარო ქონების გაფართოვება.

მოიჯარე უფლებამოსილია:

4.11. მიიღოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო "ფართი".

4.12. დაუბრკოლებლად და სრული მოცულობით ისარგებლოს "ფართით" "ხელშეკრულების" მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქმიანობისათვის.

4.13. უარი თქვას ქირის გადახდაზე, თუ "მეიჯარის" მიერ "ხელშეკრულების" დარღვევის გამო მნიშვნელოვნად ეშლება ხელი "ფართით" სარგებლობაში და ამის შესახებ წერილობით მიმართვიდან გასულია მის აღმოსაფხვრელად საჭირო გონივრული ვადა მეტი დეტალიზაციისთვის: ასეთ პერიოდზე ქირის არ გადახდა არ ნიშნავს ასეთ პერიოდზე ქირის გადახდის გადავადებას.

4.14. მოიჯარეს უფლება აქვს გარდა გათბობა-გაგრილებისა და ვენტილაციის სისტემაზე აღმოჩენილი პრობლემის შემთხვევისა შესთავაზოს მეიჯარეს პრობლემის აღმოფხვრის უფრო სწრაფი გზა და მეიჯარესთან შეთანხმებით, გაუწიოს ორგანიზება სამუშაოების შესრულებას მეიჯარის სახელით. ასეთი სამუშაოების შესრულება არის მეიჯარის ხარჯი.

4.15. მესამე პირზე ქვეიჯარით გასცეს "ფართი" ან მისი ნაწილი მხოლოდ "მეიჯარის" წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

4.16. მოითხოვოს ზიანის დროულად და სრული ოდენობით ანაზღაურება, რომელიც მიადგა მას "მეიჯარის" მიერ "ხელშეკრულებით" ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევის შედეგად.

მოიჯარე ვალდებულია:

4.17. **ხელშეკრულების** გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში ავანსის სახით გადაუხადოს „მეიჯარეს" 5880 **(ხუთიათას რვაასოთხმოცი)** აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც „მოიჯარეს" გაექვითება **პირველი 4 თვის** საიჯარო ქირაში.

4.18. დაუყოვნებლივ შეატყობინოს ფართის "მეიჯარეს" იმ ნაკლის შესახებ, რომელიც აღმოაჩნდა ან გაუჩნდა "ფართს" და ამცირებს მის ვარგისიანობას.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. "ხელშეკრულება" ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა და ამ ხელმოწერების კანონით გათვალისწინებული წესით დამოწმების შემდეგ.

5.2. "ხელშეკრულება" მოქმედებს 2023 წლის 5 ივლისი თუ "ხელშეკრულების" ვადის გასვლამდე **3 თვით ადრე** არც ერთი მხარე გამოთქვამს საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის სურვილს, მაშინ "ხელშეკრულების" მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება ერთი წლის ვადით. ეს წესი მოქმედებს "ხელშეკრულების" ყოველი შემდეგი ვადის გასვლისას.

5.3. "ხელშეკრულება" შეიძლება ვადამდე მოიშალოს მხოლოდ:

5.3.1. **მხარეთა წერილობით შეთანხმებით;**

5.3.2. "მეიჯარის" ინიციატივით, თუ "მოიჯარეს" ჯამურად დაუგროვდება ორი თვის დავალიანება და "მეიჯარის" წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად ერთი კვირის განმავლობაში არ აღმოფხვრის ამ დარღვევას.

5.3.3. "მეიჯარის" ინიციატივით, თუ "მოიჯარე" მნიშვნელოვნად აზიანებს "ფართს" ("ხელშეკრულების" მე-2 მუხლის შესაბამისად, ჩვეულებრივი სარგებლობით გამოწვეული გაუარესების გარდა) და "მეიჯარის" წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად ერთი თვის განმავლობაში არ აღმოფხვრის ამ დარღვევას.

5.3.4. **„მოიჯარის" მიერ, მინიმუმ სამი თვით ადრე „მეიჯარის" აუცილებელი წინასწარი წერილობითი გაფრთხილების პირობით. აღნიშნული უფლების გამოყენება შესაძლებელია, მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის გასვლის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში „მოიჯარეს" დაეკისრება ჯარმია 50 000(ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით.**

5.3.5 "მოიჯარის" ინიციატივით, თუ გამოვლინდა, რომ "ფართს" გააჩნია ისეთი ნაკლი, რომელიც "ხელშეკრულების" დადების მომენტისათვის უცნობი იყო და რომლის არსებობაც მნიშვნელოვნად აუარესებს ან ართულებს "ფართით" დანიშნულებისამებრ სარგებლობას. ან თუ "მეიჯარის" ბრალეული ქმედებით "მოიჯარეს" ხელი ეშლება "ფართით" სარგებლობაში. ამ შემთხვევაში, "მოიჯარემ" "მეიჯარეს" უნდა მოთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა ან/და ბრალეული ხელისშემშლელი ქმედების აღკვეთა და თუ ეს მოთხოვნა **ერთი თვის** განმავლობაში არ

დაკმაყოფილდა, "მოიჯარეს" უფლება აქვს, დაუყოვნებლივ მოშალოს "ხელშეკრულება" და მოითხოვოს 3 თვიანი ვადა ფართიდან გასასვლელად, საიჯარო ქირის გადახდის გარეშე.

5.4. იქედან გამომდინარე, რომ „მოიჯარეს“ მხოლოდ გრძელვადიანი იჯარის პირობებში გააჩნია საიჯარო ქონების მიმართ ინტერსი, "მეიჯარე" ვალდებულია მხოლოდ 5.3.2. და 5.3.3. პუნქტებით გათვალისწინებული მიზეზით მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება. სხვა მიზეზით, „მეიჯარის: მიერ ვადამდე ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მას "მოიჯარის" სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო, შემდეგი წესის მიხედვით:

1-ელ წელს შეწყვეტის შემთხვევაში 50 000 აშშ დოლარი;
2-ე წელს შეწყვეტის შემთხვევაში 40 000 აშშ დოლარი;
3-ე წელს შეწყვეტის შემთხვევაში 30 000 აშშ დოლარი;
4-ე წელს შეწყვეტის შემთხვევაში 20 000 აშშ დოლარი;
5-ე წელს შეწყვეტის შემთხვევაში 10 000 აშშ დოლარი;

5.5. მხარეთა გადაწყვეტილებით აღნიშნული ხელშეკრულება ექვემდებარება საიჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

5.6. თუ „მეიჯარე“ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გადაწყვეტს/მოუწევს საიჯარო ქონების გასხვისება, მან უნდა უზრუნველყოს ახალ მესაკუთრესთან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით იგივე პირობების შენარჩუნება „მოიჯარე“-სთვის ანდა გადაუხადოს პირგასამტეხლო „მოიჯარე“-ს 5,4 პუნქტში განსაზღვრული წესის მიხედვით.

5.7. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მხარეთა დაშლის შემდეგ, მხარეები თანხმდებიან რომ თითოეული მხარე უფლებამოსილია მეორე მხარის წერილობითი თანხმობისა და ხელმოწერის გარეშე გააუქმოს საიჯარო ჩანაწერი საჯარო რეესტრში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

6. ქონების დაბრუნება.

6.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის ან მისი სხვაგვარად შეწყვეტის შემთხვევაში "მეიჯარე" იბრუნებს "საიჯარო ქონებას".

6.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის ან მისი სხვაგვარად შეწყვეტის შემთხვევაში "მოიჯარე" შლის და მიაქვს, შეურუმის მოწყობის მიზნით, მის მიერ აწყობილი კონსტრუქციები „საიჯარო ქონება“-ში.

6.3. იმ შემთხვევაში, თუ "მოიჯარე" საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდგომ დააყოვნებს დააბრუნოს იჯარით აღებული ქონება, მაშინ "მეიჯარე" უფლებამოსილია მოითხოვოს ორმაგი საიჯარო ქირის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.4. ხელშეკრულების ვადის გასვლიდან ანდა ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებიდან მოიჯარეს დასჭირდება სამი თვე დემონტაჟისა და ფართის დასაცლელად.

7.ფორსმაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიან ან ნაწილობრივ შესრულების პასუხისმგებლობიდან დაუძლეველი ძალების არსებობის (ფორს-მაჟორი) შემთხვევაში, როგორიცაა: სტიქიური უბედურება, ხანძარი, წყალდიდობა, აჯანყება, მიწისძვრა, საომარი მოქმედებები, სამოქალაქო ომი, გაფიცვა და სახელმწიფო ორგანოების ნორმატული მითითება,რომლებიც აუცილებელია ერთ-ერთი მხარისათვის, წარმოიშვა ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ და მოქმედებს ვალდებულებათა შესრულებაზე.

7.2. დაუძლეველი ძალის წარმოშობის შემთხვევაში ხელშეკრულებით განსაძღვრული ვალდებულებების

შესრულების ვადა გადაიდება ამ ძალის მოქმედების მთელი პერიოდით.

8. დასკვნითი დებულებები

8.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იდენტური და თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს, ხოლო ერთი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს "ხელშეკრულების" რეგისტრაციის მიზნით.

8.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილება შეიტანება წერილობითი ფორმით, რომელიც დანართის სახით დაერთვება ხელშეკრულებას და გახდება მისი განუყოფელი ნაწილი.

8.3 **წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის, პირობის ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.**

8.4 ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა შორის წარმოქმნილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. ერთი თვის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო. მხარეები თანხმდებიან, რომ "ხელშეკრულებიდან" გამომდინარე დავისას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილისა.

9. მხარეთა ხალმოწერები

მეიჯარე	მოიჯარე
შპს ლილო რენტალი	შპს ბი ემ სი შარმი
მის: ქ. თბილისი იუმაშევის ქ. №27	თბილისი, ქსნის ქ 36
ს/კ 406045257	400031327
ბანკის რეკვიზიტები:	
სს პროკრედიტ ბანკი	
ბანკის კოდი: MIBGGE22	
ა/ა GE96PC0443600100006572	
დირექტორი:	დირექტორი:
ლაშა ბეციაშვილი (პ.ნ. 01006019192)	გიორგი გვიდიანი (55001020915)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

განცხადების ნომერი: AR1598772
განცხადების ნომერი: AR1598780
საკადასტრო კოდი: 01.13.01.004.149
მესაკუთრე(ები): შპს "ლილო რენტალი" (406045257)
მისამართი: ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი-გლდანის შემაერთებელ მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე., (ნაკვ.4/77) ; ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N142

შპს „ლილო რენტალი“-ს მიერ ატვირთული განცხადებები (AR1598772 და AR1598780) 1-ლი კლასის ნომეკლატურით „აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია“ გამიზნულია მოიჯარე შპს „ბი ემ სი შარმი“-სთვის 400031327. გამომდინარე აქედან, შპს „ბი ემ სი შარმი“ როგორც მოიჯარე თანახმაა განთავსდეს განცხადებებში მოთხოვნილი სარეკლამო აბრები აღნიშნული შენობის ფასადზე.

დირექტორი: გიორგი გვიდიანი

36 Ksani St. 0119, Tbilisi, Georgia. Address for Correspondence: 36, Ksani St.
Tel/fax: +995 32 60 11 22. E-Mail: info@sharm.ge